



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაჩაბელი ელენე ზაქარიას ასული



ე. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი. "არსენა ოძელაშვილი". ბრინჯაო. 1972. მცხეთა.

მაჩაბელი ელენე ზაქარიას ასული (15. II. 1906, თბილისი, – 28. XI. 1987, იქვე), მოქანდაკე. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1960). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1930). იყო ნ. პ.კანდელაკის მოწაფე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1933-იდან. ძირითადი ნამუშევრები: არსენა ოძელაშვილის ძეგლი (1949, მარმარილოს ნაფხვენი; 1972, ბრინჯაო, მცხეთა); სკულპტურული პორტრეტები: „კალათბურთელი ქალი“ (1955), „ცისანა“ (ბრინჯაო, 1957; შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი), „ნორჩი პარტიზანი“ (ბრინჯაო, 1965), „მარინე“ (თაბაშირი, 1967; ორივე დ. შევარდნაძის სახ. საქართველო. ეროვნ. გალერეა), „ქალიშვილის პორტრეტი“ (1980), „ახალგაზრდა ვაჟის პორტრეტი“ (1980, პლასტელინი, კერძო კუთვნილება). მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. საქართველო. ეროვნ. გალერეასა და აღმოსავლეთის ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში (მოსკოვი).
